

ნოდარ არდოტელი

ზოგი დადესტნური ეთნონიმის ტრანსლიტერაციის შესახებ ქართულში

I

ზოგადად, კავკასიურ ეთნიკურ ტერმინთა, ხოლო, კონკრეტულად, დადესტნური ეთნონიმების – ხალხთა ეთნიკური იდენტობის გამომხატველი სახელების – ქართული ტრანსკრიფციისა და ტრანსლიტერაციის საკითხები ჯეროვნად დამუშავებული არ არის. ცალკეულ მონოგრაფიებში წარმოდგენილი მოკლე მიმოხილვები და თითო-ორთა წერილი არსებით ვითარებას ვერ ცვლის¹.

ჩვენ წინამდებარე სტატიაში შემოვიფარგლებით ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებზე მეტყველ ხალხთა სახელების ანალიზით, თუმცა სამომავლოდ სხვა დადესტნური ეთნონიმების განხილვაც იგეგმება.

ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა სინამდვილეში ამ ენებზე მეტყველ ხალხთა აღსანიშნავად უპირატესად ორი სახის ეთნონიმი გაირჩევა: 1) ენდოეთნონიმური და 2) ტოპონიმური.

1) ენდოეთნონიმური სახელებიდან ყველაზე მრავალრიცხოვანი დადესტნელი ხალხის აღსანიშნავად ქართულში გამოიყენება ეთნონიმი „**ხუნძ**-ი“ (მრ. **ხუნძ**-ებ-ი, ხუნძ-ახ-ის ბატონი, ხუნძ-ეთ-ი // ღუნძ-ეთ-ი), რომელიც კარგად არის ცნობილი „ქართლის ცხოვრებიდან“. მისი არქაული ფონეტიკური ვარიანტი შემონახული ჩანს **ხუნდ** (შდრ. ხუნდერილ მაწა „ხუნძური ენა“) ფუძეში, ხოლო ქართულში, როგორც ვარაუდობენ, დაცულია ტრანსფორმაციის მეორე საფეხური **ხუნძ**-ი (< **ხუნძ**) [ჩიქობავა, ცერცვაძე 1962: 1]. საბოლოოდ ამ ეთნონიმის ფონეტიკურ გარდაქმნათა პროცესი ასე წარმოიდგინება: **ხუნდ** > ***ხუნძ** > **ხუნზ**. ტრანსლიტერაციის კანონზომიერებით, ხუნძური მაგარი **ხ**, ქართულად მარტივი **ხ**-თი გადმოიცემა. თანა-

¹ Мегрелидзе И. В., Дидойцы и название Дидо. – Труды пед. инст. им Пушкина, т. II. Тбилиси, С. 175-188.

მედროვე ქართულში გავრცელებული და დამკვიდრებულია „**ხუნძი**“, რომელიც მართებულია და ასევე უნდა იწერებოდეს. რაც შეეხება „**ხუნძის**“ სინონიმად მოგვიანებით გავრცელებულ „**ავარ**“-ს¹, იგი ქართული სინამდვილისთვის ნაკლებად არის დამახასიათებელი, თუმცა მისი გამოყენებისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს ტოპონიმური წარმოების სახელს „**ავარიელი**“ (ხუნძახის სანახების – ავარიის მკვიდრი).

ზოგადი გაგებით ანდიურ ენებზე მეტყველი ხალხების აღსანიშნავი ოფიციალური ეთნიკური სახელები ძირითადად ხუნძურია, ამა თუ იმ დასახლებული პუნქტის (უმთავრესი აულის) – ოიკონიმის მიხედვით არის წარმოებულ-წარმოქმნილი და ტოპონიმურ ეთნონიმთა რიცხვს განეკუთვნება [გუდავა 1971: 4]. ამ კუთხით გამოწვევის ქმნიან **ჭამალები** და **ზაგვალეები**.

დალესტნის მაღალმთიანეთში ერთ-ერთი ანდიელი ხალხის აღსანიშნავად გვხვდება ზოგადეთნიკური სახელი – **ჭამალ-ებ-ი**². ეს ტერმინი ანდიის ყოისუს მარცხენა ნაპირის მცხოვრებთ აღნიშნავს და ამავე ფორმით გადმოვა ქართულში. რაც შეეხება ანდიის ყოისუს მარჯვენა ნაპირის მცხოვრებთ, მათ (ზაგვალეებისა და ტინდიელების) აღსანიშნავად გამოიყენება სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტით წარმოდგენილი საერთო-სატომო სახელი: **ზაგვალ-ებ-ი**, **ზაგვალალ-ებ-ი**, **ზაგულალ-ებ-ი** [გუდავა 1971: 3-4]. ამ სახელწოდებათაგან, ქართული ტრანსლიტერაციის თვალსაზრისით, უფრო მართებული პირველი სახესხვაობა (ზაგვალ-ებ-ი) ჩანს, ვინაიდან ბოლო ორი ვარიანტი ხუნძურის მრავლობითი რიცხვის ფორმაა (ზაგვალ-**ალ** // ზაგულ-**ალ**) და ორმაგი მრავლობითით წარმოდგენილი ფონეტიკური სახესხვაობები (ხუნძურ-ქართული: ზაგვალ-**ალ-ებ-ი**) ქართულისთვის მიუღებელია.

დიდოურ ენებზე მეტყველი ხალხებიდან ამჟამად ენდოეთნონიმური სახელი მარტოოდენ დიდოებს მოეპოვება, რადგანაც ისტო-

¹ ბუნებრივია, ამავე სახელწოდების თურქული წარმომავლობის ეთნიკურ ერთეულთან დალესტნელ ხუნძთა (ავარიელთა) გენეზისური კავშირი გამოსარიცხია [ჩიქოზავა, ცერცვაძე 1962: 1].

² ფუძისეულად მიჩნეული **-ალ** ოდენობაც (ჭამ-**ალ**, შდრ. ზაგვ-**ალ**) შეიძლება ეტიმოლოგიურად ხუნძური მრავლობითობის ნიშანი იყოს.

რიულად ეთნონიმი **დიდო** გამოყენებული უნდა ყოფილიყო სხვა დიდოელი ხალხების აღსანიშნავადაც [ხალილოვი 1995: 14]. დღევანდელ დიდოთა თვითსახელწოდება **გეზი** (მრ. **გეზი-ზი**) ხმოვანფუძიანია და ამის გათვალისწინებით უნდა ითქმოდეს და იწერებოდეს **გეზი-ებ-ი**, **გეზი-ურ-ი** [შდრ. Цезский, უნდა: Цезийский]. ეს ეთნონიმი გენეზისურად არწივის გამომხატველ ცე („არწივი“) ლექსემასთან ჩანს დაკავშირებული [მეგრელიძე 1942: 183; აბდულაევი 1981: 7]. რაც შეეხება ძველთაგანვე ფართოდ გავრცელებულ ეთნონიმ **დიდოს** (**დიდური** – პლინიუს უფროსი, **დიდური** – კ. პტოლემე), იგი ამჟამად ოდენ ცეზიების აღსანიშნავად გამოიყენება და ამავე ფორმით არის გავრცელებული ქართულ ზეპირსიტყვიერებასა თუ მწერლობაში:

„თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ღლიღვი, **დიდო**, ქისტი, სრულად ქართლის მტერნი იყვნენ, ყველამ წაჰკრა თვითო ქიშტი“
(დ. გურამიშვილი).

„მოდგა და მოდგა მტრის ჯარი, ციხის მოერტყა ლიბოსა;
ჰრჩებოდა ჩვენი ქაე-ციხე გულხადარას და **დიდოსა**“ (ვაჟა).

გარდა ზემომოყვანილი ფორმისა, გავრცელებულია ტოპონიმური ეთნონიმიც „**დიდო-ელ-ი**“, რომელშიც ეთნიკური სახელი **დიდო**¹ მათი ისტორიული საცხოვრისის სახელწოდებას – **დიდო-ეთ-ს** უნდა ეფუძნებოდეს (შდრ. კახი – კახ-ეთ-ი – კახ-ელ-ი...): „... თუ წუთისოფელს ერთს ბეწო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი (შდრ. დიდო-ლეკი – ნ. ა.) ნაბადსა“ (ილია). ბუნებრივია, ორივე საცილობელი ფორმა სწორია, თუმცა სასურველია **დიდო-ს** მიენიჭოს უპირატესობა, რადგანაც იგი ამ ხალხის ძველისძველი, უფრო ლაკონიურად და არაორაზროვნად გამომხატველი ეთნიკური სახელია.

2) ტოპონიმური ეთნონიმების თვალსაზრისით, ჩვენს ყურადღებას იქცევს **ანდიელი**, რომელიც გამოიყენება უშუალოდ ანდიელი ხალხის აღსანიშნავადაც და მთლიანად ანდიურ ენებზე მე-

¹ წარსულში „**დოდო**“-ს არაიშვიათად „**დიდოეთის**“ მნიშვნელობითაც ხმარობდნენ, რაც მთლად მართებული არ იყო.

ტყველთა სახელწოდებადაც, ეს ეთნიკური სახელი ერთ-ერთი მთავარი ანდიური აულის – **ანდიის** ხუნძური სახელიდან (ხუნძ. **ჰანდი[ხ]** ზედმიწე. „ანდიში“)¹ მომდინარეობს და ხმოვანფუძიან სახელთა რიცხვს განეკუთვნება². გეოგრაფიულ ნომენკლატურაშიც დაღესტნის ერთ-ერთი მდინარისა და ქედის ოფიციალურ სახელად (ანდიის ყოისუ, ანდიის ქედი) ეს ტერმინია დამკვიდრებული. მაშასადამე, ქართული დაწერილობა ამ ტერმინისა იქნება **ანდი-ელ-ი**.

ზემოგანხილული ეთნონიმის ანალოგიურად არის ნაწარმოები ზოგი სხვა ანდიურ ენებზე მოლაპარაკე მცირერიცხოვან ხალხთა ოფიციალური სახელებიც, რომლებიც ხუნძურს ეფუძნება: **ბოთლიხ-ი** (< ხუნძ. **ბოლიჰ**³, შდრ. ბოთლ. **ბუახე**) – ბოთლიხ-ელ-ი, ბოთლიხ-ურ-ი, **ლოდობერი** (ხუნძ. „id.“, შდრ. ლოდ. **დიდუ**) – ლოდობერი-ელ-ი, ლოდობერი-ულ-ი, **ტინდი** (ხუნძ. „id.“, შდრ. ტინდ. **იდარი**) – ტინდი-ელ-ი, ტინდი-ურ-ი, **კარატა** (ხუნძ. **კარატა**, შდრ. კარ. **კირა**) – კარატა-ელ-ი, კარატა-ულ-ი⁴.

რაც შეეხება ახვახელებს, ისინი არიან გამაერთიანებელი სახელწოდებით წარმოდგენილნი, რაც მათი განსახლების არეალის საერთო-ეთნიკურ ტერმინს – **ახვახს** (ხუნძ. **ჰახჰაჰ**) ემყარება. მაშასადამე, ქართულად უნდა დაიწეროს და გამოთქვას: **ახვახელი** კაცი, **ახვახური** ენა და ა. შ.

დიდოურ ენებზე მეტყველი მცირერიცხოვანი ხალხების ოფიციალური სახელწოდებანი, დიდოთა გარდა, ტოპონიმურია და სათანადო ოიკონიმებიდან არის ნაწარმოები: **ჰინუხ-ი** (< ხუნძ. **ჰინუჰ**) – **ჰინუხელი** მჭედელი, **ჰინუხური** ენა, **ხვარში** (< ხუნძ. **ჰვარში**) – **ხვარშიელი** მეომარი, **ხვარშიული** ენა, **ხეიბა** (< ქართ. **ხეიბა** < ხუნძ. **ხეიტა**, ბეჟ. **ხეიტა**) – **ხეიბელი**⁵ მეცნიერი, **ხეიბური** ენა, **ჰუნ-**

¹ ყურადღებას იქცევს დაღესტნის დედაქალაქის – მაჰაჩყალის ხუნძური სახელი **ჰანეი**, რომელიც, სავარაუდოა, **ანდი** სახელთან იყოს დაკავშირებული.

² **ანდი** ხმოვანფუძიანია და ამდენად ფუძის ბოლოკიდული **-ი** უნარჩუნდება.

³ სპეციფიკური ფონემები ქართულში ასე გადმოდის: **ლ** > **თლ**, **ჰ** > **ხ** [იხ. არდოტელი 2017: 9-18].

⁴ ეს სახელი ხმოვანფუძიანია და, ამის გათვალისწინებით, ფუძისეული **-ა** შენარჩუნებული აქვს (შდრ. რუს. Каратинский Язык).

⁵ ზოგ სამეცნიერო გამოცემაში **ხეიბელი** (ბეჟტიელები) იხმარება, რაც ყოვლად გაუმართლებელია [თოფჩიშვილი 2007: 208]. **ხეიბურის** (შდრ. **ხეიბა**) გამოყენებას დიდი ტრადიცია რომ არ ჰქონდეს, ტერმინად უფრო მართებული იქნებოდა **ხეიბაური** (შდრ. კარატა – კარატაული...).

ზიბ-ი (< ხუნძ. ჰუნზიბ, ჰუნზ. ჰანტა) – ჰუნზიბელი კაცი, ჰუნზიბური ენა.

ამრიგად, ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებზე მეტყველ ხალხთა აღმნიშვნელი ეთნონიმების ტრანსლიტერაციისას თავს იჩენს სპეციფიკურ თანხმოვანთა დაწერილობის ქართულთან შეუსაბამობა და სირთულე. კერძოდ, ეთნონიმებში თავჩენილი თავისებური თანხმოვნები ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათაგან შემდეგნაირად გადმოიტანება და დაიწერება: კ – კ, ხ – ხ, ჯ – ხ, წ – ხ, ლ – თლ, შ – 0. ბუნებრივია, გადმოქართულებისას მეტწილად თითოეული ეთნონიმის მართლწერას ექცევა მეტი ყურადღება, თუმცა ტერმინის ისტორიასა და გამოყენების ტრადიციასაც ეწევა ანგარიში.

ლიტერატურა

აბდულაევი 1981 – Абдуллаев А. К., Словообразование в цезском языке. – АКД. Махачкала.

არდოტელი 2017 – ნ. არდოტელი, ხუნძური თანხმოვნების ტრანსკრიფციისა და ტრანსლიტერაციის შესახებ ქართულში. – ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეჩვიდმეტე. თბილისი.

მეგრელიძე 1942 – Мегрелидзе И. В., Дидойцы и название Дидо. – Труды пед. инст. им Пушкина, т. II. Тбилиси.

გუდავა 1962 – ტ. გუდავა, ბოთლიხური ენა. თბილისი.

გუდავა 1971 – ტ. გუდავა, ბავკალური ენა. თბილისი.

თოფჩიშვილი 2007 – რ. თოფჩიშვილი, კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია. თბილისი.

ჩიქოზავა, ცერცვაძე 1962 – არნ. ჩიქოზავა, ილ. ცერცვაძე, ხუნძური ენა. თბილისი.

ხალილოვი 1995 – Халилов М. Ш., Бежтинско-русский словарь. Махачкала.

Nodar Ardoteli

On the Transliteration of the Some Dagestanian Ethnonyms into Georgian

I

Summary

In the reality of Avar-Andi-Dido languages, the two types of ethnonyms are distinguished to denote the people speaking these languages: 1) endoethnonymic and 2) toponymic.

1) Endoethnonymic denominations: **xunʒ-i**, **čamal-i**, **bagval-i**, **dido** // **cezi**, etc.

2) Toponymic ethnonyms: **avari-avarieli**, **andi-andieli**, **botlixi-botlixeli**, **γodoberi-γodoberieli**, **xvarši-xvaršieli**, etc.

The specific consonants included in the ethnonyms are transliterated as follows: **ɣ̣** – **ɣ**, **ɣ̣̇** – **ɣ̇**, **ɣ̣̇** – **ɣ̇**, **ɣ̣̇** – **ɣ̇**, **ɣ̣̇** – **ɣ̇**, **ɣ̣̇** – **ɣ̇**, **ɣ̣̇** – **ɣ̇**. Naturally, when translating ethnonyms into Georgian more attention is paid to the orthography although the history and traditional use of the term is taken into consideration.